



ახალი განათლება

2009 წელი, 10 - 16 დეკემბერი

ფასი 90 თეთრი

№38 (472) გამოდის 1998 წლიდან

სიახლეები განათლებასა და მეცნიერებაში
ოქტომბერი/ნოემბერი, 2009



მთავარი სიახლეები

- გამოქვეყნდა საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგები;
- მოსწავლეთა შორის ჭადრაკის პირველმა ჩემპიონატმა მთელი საქართველო მოიცვა;
- ნიკა გუბარამიაშ მარნეულის რ-ნის სოფელ ალგეთში ახლადაშენებული №2 საჯარო სკოლა გახსნა;
- სოფელ არეშევრანის საჯარო სკოლაში გამოჩენილი ოსი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, კოსტა ხეთაგუროვის 150 წლის იუბილე აღნიშნეს.

„დიალოგი“-ის ხელმოწერა საყურადღებოდ!

2009-2010 სასწავლო წელს
გაზეთ „დიალოგი“-ის ხელმოწერას და
გავრცელებას ახორციელებს
გაზეთ „ახალი განათლება“ რედაქცია

2009-2010 სასწავლო წელს „დიალოგი +“-ის 6 ნომრის (იანვარი-ივნისი) გამოწერის მსურველმა უნდა მიმართოს სკოლას, რადგან სკოლებიდან მოხდება, მისაღები კომპლექტების რაოდენობის შესაბამისად, გამოწერის თანხის გადარიცხვა გაზეთ „ახალი განათლების“ სპეციალურ ანგარიშზე.

**გადმორიცხვის დროს, აუცილებელია,
გარკვევით მიითითოს
ქალაქის, დაზის ან სოფლის დასახელება.**

აუცილებელია, ხელმოწერები განხორციელდეს 15 იანვრამდე, რათა ყველა ხელმოწერმა მიიღოს „დიალოგი +“-ის 6 ნომერი. „დიალოგი +“-ის საცალო ღირებულებაა 1 ლარი, გამოწერის თანხა შეადგენს 6 ლარს.

გაზეთის გამოწერა შეუძლიათ: რესურსცენტრებს, სკოლებს, კერძო პირებს და ორგანიზაციებს.

გაზეთ „ახალი განათლების“
რედაქციის მისამართია:

თბილისი, ტაბულაშვილის 3, ტელ: 95 80 23, 890 958023; 877 132283
ელფოსტა: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru

**გაზეთის ხელმოწერის თანხა
შეგიძლიათ გადარიცხოთ შემდეგ
საბანკო ანგარიშზე:**

მიმღები	შპს „ახალი განათლება“
მიმღები ბანკი	სს „ბაზისბანკი“
ბანკის კოდი	220101956
ანგარიშის ნომერი	30236563
საიდენტიფიკაციო კოდი	202058735

ამ ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შესაძლებელია
საქართველოს ნაგისმიერი ბანკიდან.

პატივისცემით, „დიალოგი +“-ის რედაქცია

კოლისი პედაგოგი



2009 წლის ივნისში დაფუძნდა „პერსონალური დაზღვევა“, რომელსაც ოქტომბერში შეეცვალა სახელი და იწოდება „სადაზღვევო კომპანია ალფა“

თუ სკოლის კოლექტივის 80 პროცენტი დაეზღვევა „სადაზღვევო კომპანია ალფაში“, სკოლას საჩუქრად გადაეცემა პირველადი სამედიცინო დახმარების ნაკრები (100 ლარის ღირებულების 22 დასახელების პრეპარატი), რომელიც პერიოდულად განახლდება.

მსოფლიო „სადაზღვევო კომპანია ალფა“ ბთავაზობთ:

- ყველაზე მაღალი ფასდაკლება მედიკამენტოზაზე;
- ინსტრუმენტული და ლაბორატორიული გამოკვლევების ფართო სპექტრი;
- სპეციალურად პედაგოგებისათვის - სამუშაო სპეციფიკის მიხედვით სამედიცინო მომსახურების მიღების სიმარტივე და მაღალი ხელმისაწვდომობა;
- სტომატოლოგიური მომსახურების სრული სპექტრი;
- ოჯახის წევრების სამედიცინო მომსახურების დაფარვა;
- სკოლის უზრუნველყოფა პირველადი სამედიცინო დახმარების მედიკამენტებით.

მისამართი: ჯანო ბაგრატიონის ქ. 6^ბ
საინფორმაციო 24/24: 640640 640199 640299, e-mail: insurance@alpha.ge





რატომ ირჩევენ კელაგობები „ირაოს“? „ირაო“ კელაგობებს ყველაზე კარბ პირობებს სთავაზობს

სადაზღვევო კომპანია „ირაო“ წლიდან წლამდე ზრუნავს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე, რაც მისი ბენეფიციარების სიმრავლითა და საბოლოო ჯამში, კომპანიის ზრდით გამოიხატება. ამის დასტურია ჯანმრთელობის დაზღვევის მენეჯერის სამსახურის ანბარში, რომლის მიხედვით, მიმდინარე წლის III კვარტლის მონაცემებით, დაზღვეულთა მხრიდან ყველაზე ნაკლები პრემია სწორედ „ირაოს“ მისამართით გამოითქვა.

ბოლო მონაცემებით, „ირაოს“ სამედიცინო დაზღვევით 213 592 კაცი სარგებლობს, კომპანია დაზღვეულთა რაოდენობით გაზარდა ერთ-ერთ ნაგებანს პოზიციას იკავებს. დაზღვეულთა ასეთი შთაბეჭდილი რაოდენობის მიუხედავად, ივლის-სექტემბრის პერიოდში, „ირაოზე“ მომხმარებლების მხრიდან სულ 13 საჩივარი შევიდა. საბოლოო ჯამში კი, საჩივრების ინდექსით, „ირაოს“ სხვა სადაზღვევო კომპანიებს შორის, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი – 0,005% აქვს.

„ირაო“ იაფი დაზღვევის სახელმწიფო პროგრამაშიც მონაწილეობს, მხოლოდ ამ პროგრამით კომპანიაში 35 ათასი ბენეფიციარია დაზღვეული.

„ირაო“ იაფი დაზღვევის სახელმწიფო პროგრამაშიც მონაწილეობს, მხოლოდ ამ პროგრამით კომპანიაში 35 ათასი ბენეფიციარია დაზღვეული.

„ირაო“ აქტიურად ჩართული კელაგობთა დაზღვევის სახელმწიფო პროგრამაშიც და სახელმწიფო მიერ შთავაზავებული პირობების გარდა, კელაგობებს დამატებით სხვა სანტიმარს

სამედიცინო მომსახურებასაც სთავაზობს. კელაგობებისთვის განკუთვნილი „ირაოს“ სამედიცინო დაზღვევა საუკეთესო სადაზღვევო პოლისიების მიერ

წარმოდგენილ სადაზღვევო პაკეტებს შორის. გაზარდა საუკეთესო სამედიცინო მომსახურების წარმომადგენელი „ირაო“ ამ მომსახურების შესრულებაზე მონიტორინგს აცხადებს.

დაზღვეული კელაგობების დამატებითი მომსახურება

- გადამდები სტომატოლოგია (ქბილის ექსტრაქცია, ანესთეზია) – 100% ულიმიტო;
- თერაპიული სტომატოლოგია – 100% ულიმიტო (კლინიკა „საილი“, ევლოფილის ქ.12);
- თერაპიული სტომატოლოგია – 25 %-იანი ფასდაკლება („ირაოს“ პროვინციული კლინიკაში);
 - ორთოპედია – 30 % ულიმიტო;
- ექიმის დანიშნულებით მელიკამენტაზე – 30 %-მდე ფასდაკლება;
 - ექიმის დანიშნულების გარეშე – 15-20%-იანი ფასდაკლება;
 - მხედველობის სინამდვილის განსაზღვრა;
- სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მომხმარებელი უხადური შემთხვევის გამო დამატებითი გარდასვლა – 5000 ლარი.

მიმდინარე შეთავაზება მოუხადდა „ირაომ“ დაზღვეული კელაგობების ოჯახის წევრებსაც (მეუღლე, შვილები), კერძოდ:

- გეგმიურ სტაციონარულ და ამბულატორიულ მომსახურებაზე 20 %-იანი ფასდაკლება „ირაოს“ მიერ მითითებულ კლინიკაში;
- სტომატოლოგიურ მომსახურებაზე 30%-იანი ფასდაკლება (კლინიკა „საილი“ ევლოფილის 12);
- სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მომხმარებელი უხადური შემთხვევის გამო დამატებითი სტაციონარული მომსახურება – 100 % – 3000 ლარი;
 - ხერხემლის კათოლოგიების (დისკოზია, მალთაშუა თიაქარი და ა.შ.) არაკონსერვატიული მეთოდით (DRX-9000) მკურნალობაზე 15 %-იანი ფასდაკლება.
- ფასდაკლებაზე ხორციელდება „ირაოს“ პროვინციული კლინიკებსა და კარტინორ საფთხიანო ქსელში – ავერსი, პე-ეს-პე – საქარტველოს მთელ ტერიტორიაზე.

„ირაო“ პედაგოგებს დაზღვევის დამატებით პირობებს სთავაზობს. იქნებ გვითხრათ, რატომ უნდა გადაცვალოს პედაგოგმა სადაზღვევო ვაუჩერი „ირაოს“ დაზღვევის პოლისში?

არჩილ მორჩილაძე, „ირაოს“ სამედიცინო დაზღვევის დირექტორი: პედაგოგთა დაზღვევა დღეს მეტად აქტუალურია. პედაგოგებს თავიდან ურიგდებათ სადაზღვევო ვაუჩერები, რომელიც სადაზღვევო კომპანიების პოლისებში უნდა გადაცვალოს. სახელმწიფოს მიერ დადგენილი სადაზღვევო პირობების შესრულება ყველა კომპანიისთვის სავალდებულოა. „ირაო“ პედაგოგებს დამატებით მომსახურებასაც სთავაზობს, რომელიც დღესდღეობით საუკეთესოა სადაზღვევო ბაზარზე. პედაგოგებისთვის დამატებითი პირობების შედგენისას ჩვენ მაქსიმალურად გაითვალისწინეთ მათი მოთხოვნები, ვეცა-

დეთ, სადაზღვევო პოლისში ის დამატებითი ბენეფიტები ჩაგვედო, რომელიც ყველაზე მოთხოვნილი იყო. გარდა ამისა, კომპანია პასუხისმგებლობას იღებს აღნიშნული პირობების შესრულების კუთხითაც, ანუ მონიტორინგს ვაწესებთ პედაგოგთა დაზღვევის მიმდინარეობაზე ჩვენს კომპანიაში.

დამატებითი მომსახურების პარალელურად ჩვენთვის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული პირობების შესრულება.

„ირაოს“ მომსახურების ხარისხზე სტატისტიკაც მეტყველებს. მაგალითად, თუ 2008 წელს „ირაოს“ სამედიცინო დაზღვევით მხოლოდ 1300 პედაგოგი სარგებლობდა, მიმდინარე წლის განმავლობაში ჩვენთან დაზღვეული პედაგოგების რიცხვი ათი ათასამდე გაიზარდა. ვფიქრობთ, ჩვენი სადაზღვევო პოლიტიკიდან გამომდინარე, „ირაოში“ დაზღვევის მსურველთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდება. გაიზარდება კმაყოფილი მომხმარებლების რაოდენობაც.

„ირაოს“ მრავალწლიანი გამოცდილება აქვს სამედიცინო დაზღვევის სფეროში, რაც იმის გარანტიაა, რომ დაზღვეულებს აქ მაღალ დონეზე და, რაც მთავარია, ხარისხიანად ემსახურებიან.

არჩილ მორჩილაძე: უპირველეს ყოვლისა, ორიენტირებული ვართ დაზღვეულზე. როდესაც კონკრეტული სადაზღვევო შემთხვევა განიხილება, ვხელმძღვანელობთ იმით, თუ რა არის საჭირო დიაგნოზის დასადგენად. სხვადასხვა სადაზღვევო პოლისი, სხვადასხვა გამონაკლისებს ითვალისწინებს, რაც როგორც წესი, იწვევს გაუგებრობებს ბენეფიციარსა და სადაზღვევო კომპანიას შორის. ჩვენ ყველა იმ გამოკვლევას ვაფინანსებთ,

რომელიც პაციენტის საბოლოო დიაგნოზის დადგენისთვისაა საჭირო. აქედან გამომდინარე, ჩვენ და დაზღვეული ერთად ვცდილობთ, რაც შეიძლება სწრაფად დაფარვის ნორმის დიაგნოზი, რაც შემდგომში მკურნალობის სწორი ტაქტიკის არჩევას განაპირობებს, ანუ ვცდილობთ მხოლოდ ფინანსური ინსტიტუტის როლი არ შევასრულოთ. სწორედ ამიტომ ჩვენს დაზღვეულებს არ უწევთ სამედიცინო დანესებულებაში ყველა კაბინეტის შემოვლა.

როგორ მიაწვდის სერვისს დაზღვეულს და როგორ მოემსახურები მას, ეს ყველაფერი, საბოლოო ჯამში, მონიტორინგის შედეგებზე აისახება. ერთი და იმავე პირობებით დაზღვეული ორი ადამიანიდან, შესაძლოა, ერთი კმაყოფილი იყოს, მეორე კი არა. ეს სადაზღვევო კომპანიის მომსახურების ხარისხზე დამოკიდებულია.

„ირაოს“ სამედიცინო დაზღვევით დაინტერესებულ პირს, დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით, შეუძლია დაუკავშირდეს კომპანიის ცხელ ხაზს ნომერზე 949, სადაც მას რულყოფილ და დეტალურ ინფორმაციას მიაწვდიან „ირაოს“ პროდუქტების შესახებ

სტუმრად კურსებიდან ზალიკოსთან



გასული სასწავლო წლის მისში გაიღო ხიდი კურსების საჯარო სკოლის მოსწავლეებსა და მხატვარ ზალ სულაკაურს შორის. 22 მაისს მან დაუწყო დღე აჩუქა ჩემს მოსწავლეებს.

დიდი სურვილი მქონდა, ზალიკოს სტუდიის სტუმრებიც ვყოფილიყავით. ნოემბერში მან თაბუკაშვილის 36-ში, „ზალ სულაკაურის სტუდიაში“ გვიმასპინძლა. ლამაზი ფერების სამყაროში გაუძღვა ზალიკო კურსების საჯარო სკოლის პირველკლასელებს და გურნის საჯარო სკოლის მეოთხე კლასის (პედაგოგები – თინათინ გიორგაძე, დოდო გაბადაძე) მოსწავლეებს. წინსა-

ფარში გამოწყობილებს მხატვარმა გვაჩვენა ოთახები, სადაც ხატვის გაკვეთილები ტარდება. აგვისტო, როგორც ხდება ნატურიდან ხატვა და სხვ. ბავშვების ყურადღება მხატვრის სახელსწრამ მიიქცია.

გაკვეთილი დაიწყო. ზალიკომ მარკერი მიიღარჯვა და პატარები ცხოველთა სამყაროში ამოგზავნა. ცოტა ხანში ზალიკოს ტყუპისცალი ძმა – ზურიკო შემოგვიერთდა, რომელიც ამავე სტუდიაში ხატვას ასწავლის. ზურიკომ და ბავშვებმა ერთად დახატეს თევზი. ამ დროს ზალიკო კარიკატურის ხატვით გაერთო და

გაკვეთილის დასრულებისთანავე გადმოგვცა თაბახის ფურცელი წარწერით: „ზალ სულაკაურის სამხატვრო სკოლა, სტუმრად კურსებიდან ზალიკოსთან. 17 ნოემბერი, 2009 წელი“.

ნახატებზე ბავშვებმა თავიანთი თავი ამოიცივნეს და ბევრი იცინეს. არც ზურიკომ დაგვეწყვიტა გული და „ნითელქუდა ყვავილებით ხელში“ ლამაზი ავტოგრაფით – „დიდი სიყვარულით ავტორისაგან. ზურიკო სულაკაური“ – გადმოგვცა.

გადავიღეთ სამახსოვრო ფოტოები. დიდი სიხარულით, რაც ჩემს პატარებთან ერთად

განვიცადე, ორი სიტყვით მინდა გამოვხატო და გაზეთის ფურცლებიდან ვუთხრა: – გამაღლობო, ზალიკო!

ეს დღე დიდხანს ემახსოვრება ჩემს პატარა მოსწავლეებს. პირველი გასვლა სკოლიდან დიდი გზის დასაწყისი ყოფილიყოს მათთვის.

თინათინ გიორგაძე
ტიბულის რაიონის სოფელ კურსების საჯარო სკოლის დანაწევითი კლასების მასწავლებელი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედალოსანი

„სხოვრება მშვენიერია“ ბუნებაში

ადიგენის მუნიციპალიტეტის არლის საჯარო სკოლის (დირექტორი – მარო ჩხიტუნიძე) IX კლასში ჩატარდა გაკვეთილი ისტორიაში თემაზე „პირველყოფილი საზოგადოება“, გაკვეთილი ითვალისწინებდა ერთ-ერთი დავალების შესრულებას, რომლის არსი მდგომარეობდა შემდეგში: ისტორიის განვითარების გარკვეულ ეტაპზე (პირველყოფილ საზოგადოებაში) მოხვედრის შემთხვევაში თავის გატანა, ფუნქციების განაწილება თითოეულის შესაძლებლობისა და ცოდნის მიხედვით (მონადირეობა-შემგროვებლური ჩვევების გამო-მუშავება კოლექტივის წევრებში).

ისტორიის მასწავლებელმა ეთერ კაჭკაჭაშვილმა მოამზადა პროექტი გაკვეთილის ბუნებაში ჩასატარებლად. მოსწავლეებთან ერთად დაიგეგმა გაკვეთილის ჩატარების დღე – 20 ოქტომბერი. შეირჩა პროექტის სახელწოდება – „ლაშქრობა ბუნების ნიაღში – ცხოვრება მშვენიერია“.

პროექტი მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობა – 13.

პროექტის ხელმძღვანელი – ეთერ კაჭკაჭაშვილი.

სამიზნე ჯგუფი – IX კლასი.

დამკვირვებელი მასწავლებლები – ნარგიზ კაჭკაჭაშვილი, ეთერ კაჭკაჭაშვილი თამარ ტატალაშვილი.

პროექტის ხანგრძლივობა – ერთი დღე, 12სთ.-დან. 16სთ.-მდე.

დავალების შესასრულებლად შეირჩა ადგილი – „წყისის ქის“ ხელოვნური წყალსაცავი, რომელიც ტერიტორიულად სოფელ უდეს ეკუთვნის, არლიდან 3კმ. მანძილზე მდებარეობს. განისაზღვრა პრობლემები, დაისახა მიზნები და მოსალოდნელი შედეგები.

პრობლემა

მოსწავლეთა კლასგარეშე ლონისძიებები დაინტერესების, შემოქმედებითი უნარის, დამოუკიდებელი კვლევის, პრობლემების გადაჭრის, თანამშრომლობის ჩვევების სიმწირე.



მიზნები

- მოსწავლეს გაუჩინდეს კონკრეტულ საგანში ღრმა ცოდნის დაუფლების სურვილი. შექმნილ სიტუაციაში არსებული ცოდნის გამოყენების უნარის დაუფლება. პარალელურად, სპეციფიკური და ზოგადი უნარ-ჩვევების და მაღალზნობრივი ღირებულებების გამომუშავება.
- ისტორიული დროის გაგება და ეპოქის განცდა.
- ისტორიული კვლევა.
- ახლის შექმნა და გამოყენება.
- სოფლისა და სკოლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა.
- ვიდეო და ფოტომასალის შეგროვება და გამოყენება.
- სამარშრუტო რუკის შედგენა.

შედეგები

- გაიზარდა მოსწავლეთა ინტერესი საგნისადმი.
- გაუმჯობესდა თანამშრომლობის კულტურა მოსწავლეებში.
- შეძლეს ადვილად წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის ისტორია ნებისმიერ ეპოქაში.
- პრევენციის მიზნით შეგროვილ მასალას გაცნობენ თანატოლებს.

მოსწავლეები წინასწარ ეცნობიან მარშრუტს და სკოლის ეზოდან

ინყებენ სვლას ზურგცანთებით. ერთი საათის შემდეგ მიდიან დათქმულ ადგილზე – „წყისის ქის“ წყალსაცავთან.

დაიყვანნენ ჯგუფებად და აირჩიეს ლიდერები, რომლებმაც დავალებები გაანაწილეს შესაძლებლობების მიხედვით. მოსწავლეებმა ნაწილმა ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე მოთხარეს კარტოფილი, შეაგროვეს სოკო, დაიჭირეს თევზი. ცეცხლი პრიმიტიულად, კვს-აბედი ანთეს, დასუფთავებული პროდუქტი ხის ჯოხებზე წამოაცვეს და ნაკვერჩხალზე შეწვეს. იქვე მოძიებული კომპოსტოს ფურცლები თევზების ნაცვლად გამოიყენეს. კერძები დააგემოვნეს მასწავლებლებმაც, რომლებმაც ცეცხლის გაჩაღებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს – ფიჩხი მოაგროვეს.

თამარ ტატალაშვილი: ბავშვებმა დაკისრებული დავალებები ბრწყინვალედ შეასრულეს. განსაკუთრებით საინტერესო იყო გონებრივი ვარჯიში. როგორც დამკვირვებელი, საკმაოდ გაოცებული დავარჩი.

ეთერ კაჭკაჭაშვილი: კმაყოფილი ვარ მოსწავლეების მიერ ჩატარებული გაკვეთილით. გაოცებული დავარჩი მათი მოხერხებულობით.



მოსწავლეები მთელი მონღომებით ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობებს. მინდა მადლობა გადავუხადო ქალბატონ ეთერს კარგი გაკვეთილის ჩატარებისათვის.

სკოლაში დაბრუნებისას მასწავლებლებმა შთაბეჭდილებები სხვა პედაგოგებსაც გაუზიარეს. პროექტის მიმდინარეობა ფოტო და ვიდეომასალაში აღიბეჭდა. ლიდერებმა თავიანთი შთაბეჭდილებები წარმოადგინეს: „ვიცი“, „გავიგე“ და „მინდა ვიცოდე“.

თორნიკე კაჭკაჭაშვილი: ჩემმა თანაკლასელებმა ნდობა გამომიცხადეს და ლიდერად ამირჩიეს. „ვიცი“ ჩემი მეგობრების შესაძლებლობები და დავალებების მიცემაც არ გამიჭირდა. ტერიტორიაც ნაცნობი იყო, ამიტომ საკვების მოპოვება არ გაუჭირდებოდათ.

„გავიგე“, რომ ყველაფრის გაკეთება შეიძლება, თუკი საქმეს გულით მიუდგები. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ „ძალა ერთობაშია“.

„მინდა ვიცოდე“ ჩემი კუთხის ისტორია ბრწყინვალედ. მსგავსი გაკვეთილები იქნება თუ არა ხშირად? იმედი მაქვს, რომ იქნება.

შოთა კაჭკაჭაშვილი: „ვიცი“ ამ ადგილის შესახებ ცოტა რამ.

„გავიგე“ ჩემი ჯგუფელების შესაძლებლობანი, მართლაც გაკვირვებული დავარჩი.

„მინდა ვიცოდე“ უფრო მეტი ამ ტერიტორიის შესახებ. ცხოვრება ხომ მართლაც მშვენიერია.

ამ გაკვეთილმა კიდევ ერთხელ დავგანახა მოსწავლეების განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებები. გავერკვიეთ მათ შესაძლებლობებში. ისინი აქტიურად იყვნენ ჩართული სასწავლო დავალებებში, კვლევით პროცესში, რამაც საშუალება მოგვცა, დავკვირვებოდით მოსწავლეების ქცევას, ძიების და სხვა უნარ-ჩვევების გამომჟღავნებას.

ეს შესანიშნავი გაკვეთილი მასწავლებელსა და მოსწავლეთა ერთობლივი წარმატებული საქმიანობის, ურთიერთპატივისცემის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეთერ კაჭკაჭაშვილი საკმაოდ ენერგიულად მუშაობს თავის ალსაზრდელებთან.

ნარგიზ კაჭკაჭაშვილი
დირექტორის მოადგილე ალშრდელლობით დარგში

„ღმერთო, გაგულის მსველად გამხდრა“



„ფეხს რომ ვარიდებ ყვავილებს, ვაჟავ, სულ შენი ბრალია, შენს შემდეგ მესაუბრება კაცივით მთა და ბარია.“
გიგლა ჭინჭარაული

1995 წელს ქ. საგარეჯოში დაარსდა შპს „თამარ გარეჯელის“ სახელობის არასახელმწიფო საერო სკოლა, რომელიც თავიდანვე მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტდა. სკოლის მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობა თანამედროვე მოთხოვნათა დონეს პასუხობს, დიდი ყურადღება ექცევა უცხო ენებისა და კომპიუტერის შესწავლას, კლასგარეშე მუშაობას. ტარდება ინტერაქტიური და ინტეგრირებული გაკვეთილები. აქ გამართული ღონისძიებები მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებას ემსახურება. დიდი ყურადღება ექცევა მშობლიური კუთხის ისტორიისა და გამოჩენილი თანამემამულეების ცხოვრებისა და შემოქმედების

შესწავლას. სკოლის დაარსების დღიდან უამრავი ცნობილი ადამიანი ეწვია ცოდნის ამ ტაძარს. ასე იყო შარშანაც: აქ მოეწყო ცნობილი მხატვრის, **ნინო ჯანგულაშვილის** ნამუშევრების გამოფენა და გაიმართა მამამისის, ცნობილი გარეჯელი პოეტის, **თეიმურაზ ჯანგულაშვილის** ხსოვნის საღამო, რომელიც საკუთარი პოეზიით დაამშვენა სტუმარმა, პოეტმა **თეიმურ ჩალაბაშვილმა**. სულ ახლახან სკოლის დირექტორის, **თამარ საგინაშვილის** ინიციატივით, გაიმართა ერთ-ერთი მოსწავლის მშობლის, პოეტისა და სახალხო მთქმელის, **გიგლა ჭინჭარაულის** შემოქმედებითი საღამო. სტუმართა შორის გახლდნენ: პოეტი, მწერალი და პუბლიცისტი, გაზეთ „კავკასიის“ რედაქტორი **იზა ჯაჭვიაძე**, საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის მდივანი, გაზეთ „ნერგის“ რედაქტორი **მარინა თექ-**

თუმანიძე და ახალგაზრდა პოეტი, სამი პოეტური კრებულის ავტორი **ჯუმბერ გოგრიტიანი**. გიგლა ჭინჭარაული საგარეჯოს რაიონის სოფელ ვერონაში დაიბადა. მოლექსე-მოკავიავე ხალხის შვილია, იმ ხალხის, ვისთვისაც ლექსი სიცოცხლისათვის ისეთივე აუცილებელი რამ არის, როგორც წყალი, პური და ჰაერი... ლექსების წერა ადრე დაიწყო. თითქმის სამი ათეული წელია, მისი შემოქმედება იბეჭდება რაიონულსა თუ რესპუბლიკურ პრესაში. გიგლა ჭინჭარაულის ლექსები შესულია წიგნში „გომბორელი მოლექსეები“ და ფოლკლორის ეროვნული დათვალიერება-ფესტივალის ზეპირსიტყვიერების ლაურეატების 2005-2006 წლების გამოცემაში „კახეთი“. იგი გახლავთ 2000 წელს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში ჩატარებული ფოლკლორული საღამოს მონაწილე. გიგლა ჭინჭარაულის შემოქმე-

დების თემატიკა ძალიან მდიდარია, მხატვრული ოსტატობით ქარგავს სტრიქონებს, საოცარია ხატოვანი აზროვნების დონე, ავტორის მაღალი პოეტური გემოვნება. საკუთარი ქვეყნისა და ხალხის უსაზღვრო სიყვარულითაა გაჟღერებული მისი პოეზია გაცნობის-თანავე ისე შეიყვარეს და შეისწავლეს საგარეჯოს არასახელმწიფო საერო სკოლის პედაგოგებმა და მოსწავლეებმა, რომ ავტორს შემოქმედებითი საღამოც გაუმართეს. ღონისძიება დაამშვენა საგარეჯოს ქალთა ფოლკლორული ანსამბლის, „ჩინარის“ (ხელმძღვანელი - **ნელი გულიკაშვილი**) მიერ შესრულებულმა მთელ ხალხთა სიმღერებმა. „ჩინარი“ მსოფლიოს ფოლკლორული ფესტივალის „ვერცხლის ხმების“ მფლობელია და მათი „იავნანა“ შესულია პარიზში 2005 წელს გამოცემული „მსოფლიოს 20 საუკეთესო იავნანას“ ოქროს კომპაქტდისკში.

გიგლა ჭინჭარაულს საკუთარი ლექსები მიუძღვნეს ახალგაზრდა პოეტებმა: **რომან ზუკაიშვილმა** და **მალხაზ ნიკლაურმა**. თბილი სიტყვებითა და სიყვარულით მიესალმნენ საგარეჯოს სახალხო თეატრის მსახიობი **ნათელა დიდმელაშვილი**, რაიონული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი თინათინ კობაური და რაიონის ყოფილი მაჟორიტარი დეპუტატი **ალექსი არაბული**, სტუმრები: **იზა ჯაჭვიაძე**, **მარინა თექთუმანიძე** და **ჯუმბერ გოგრიტიანი**. შემოქმედებითა საღამომ თბილად ჩაიარა. სკოლის დირექტორმა, **თამარ საგინაშვილმა** მადლობა გადაუხადა სტუმრებსაც და მასპინძლებსაც ლამაზი საღამოს გამართვისათვის. პოეტმა, დიდი სიყვარულისა და პატივისცემის პასუხად, მისი პოეზიის თაყვანისმცემლებს ახალი ლექსები წაუკითხა.

ლეილა არჩვაშვილი

შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე

2009 წლის 1 დეკემბერს სკოლა-ლიცეუმ NK-ში ჩატარებული კონფერენცია ერთგვარი გამოხმაურებაა ამ ზოგადსაკაცობრიო პრობლემასთან. არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა-ლიცეუმის საბუნებისმეტყველო კათედრის კვირეული 30 ნოემბერს დაიწყო და 4 დეკემბრამდე გაგრძელდა. სასწავლო-შემეცნებითი კონფერენცია ჩატარდა თემაზე **„აივ ინფექცია შიდსი“**. კონფერენციისათვის მოსწავლეების მზადებას ხელმძღვანელობას უწევდნენ პედაგოგები: **ლია უთურგაიძე** (ქიმიის პედაგოგი) და **ხათუნა მურვანიძე** (ბიოლოგიის პედაგოგი). მოსწავლეებმა მოიძიეს და დაამზადეს პლაკატები აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს სკოლა-ლიცეუმის X-XI კლასის მოსწავლეებმა. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო თემები: „ისტორიული ცნობები“ - **თათული დოლბაია**, X კლასი; „რა არის შიდსი“ - ელენე სიმონიშვილი, X კლასი; „აივ შიდსის გავრცელება მსოფლიოში“ - **გიორგი გიორგობიანი**, X კლასი; „აივ შიდსის გავრცელება საქართველოში“ - **ქეთევან კობახიძე**, **ლერი ხუფენია**, XI კლასი;



„აივ ინფექციის დიაგნოსტიკა ბავშვებში“ - ელენე ალაშვილი, სანდრო მაღლაკელიძე, X კლასი; „აივ ინფექციის გადაცემის გზები“ - **დავით გუჯაბიძე**, X კლასი;

„აივ ინფექციის პროფილაქტიკა“ - **ანა გაბიტაშვილი**, XI კლასი. კონფერენციას ესწრებოდნენ: მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გიორგი კამკამიძე**

და სამედიცინო ცენტრ ინტერკლინიკის ექიმ-ინფექციონისტი **მაია ბუნაშვილი**; მოწვეულმა სტუმრებმა მოინონეს მოსწავლეების მიერ განულებული მუშაობა.

მაია ბუნაშვილი კონფერენციის მონაწილეებს საქართველოში შიდსის გავრცელების სამწუხარო სტატისტიკის შესახებ უახლესი ინფორმაცია მიანდა: „საქართველოში აივ ინფექცია/შიდსის პირველი შემთხვევა გამოვლინდა 1989 წელს. 2008 წლის მონაცემებით, საქართველოში რეგისტრირებულია აივ ინფექციის 840 შემთხვევა. თუმცა ექსპერტთა აზრით, სავარაუდოდ, საქართველოში რეალურად 3500 აივ/ინფიცირებული და შიდსით დაავადებულია. მათ შორის 669 - მამაკაცი, 171 - ქალი, პაციენტთა უმრავლესობა 25-დან 40 წლამდეა. შიდსი განუვითარდა 347 პაციენტს. 184 უკვე გარდაიცვალა.“ მონაცემები მართლაც შემადრწუნებელია. სწორედ ამიტომ, ბატონ გიორგი კამკამიძის აზრით, შიდსის პრობლემის დაძლევაში ერთ-ერთი მთავარი როლი მოსწავლეებს ეკუთვნის. შიდსის პრობლემა საერთოა მთელი მსოფლიოსათვის. იგი თანაბრად ემუქრება ყველას - ასაკის, სქესის, ეროვნებისა და განათლების მიუხედავად. ამ ვირუსისაგან თავის დაცვის ერთადერთი საშუალება პროფილაქტიკის წესების ზედმიწევნით დაცვაა. სკოლაში ასეთი ტიპის კონფერენცია კი ყველაზე სწორი პრევენციული ღონისძიებაა, მოსწავლეები მაქსიმალურად არიან ინფორმირებულნი ამ დაავადების შესახებ.

ნინო საყვარელიძე

„ჩემს თვალწინ სეკვასს თავისუფლება“

ამ სიტყვებით გადასცა აცრემლებულმა უცხოელმა კორესპონდენტმა თავის მაცურებელს, 20 წლის წინ, 9 ნოემბრის საღამოს, ბრანდენბურგის ჭიშკართან ბერლინის კედლის დაცემით გამონვეული გერმანელთა სიხარული. ეს ისტორიული თარიღი წელს არა მარტო გერმანიაში, არამედ მთელ ევროპაში მასშტაბურად აღინიშნა. ამ მნიშვნელოვან მოვლენას ჩვენი სკოლაც გამოეხმაურა. 19 ნოემბერს კურსების საჯარო სკოლაში (დირექტორი – **თამარ ზარნაძე**) ჩატარდა სემინარი-ლონისძიება, რომელიც ბერლინის კედლის დაცემის 20 წლისთავს მიეძღვნა. მისი ორგანიზატორი ჩვენი სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი **ნატო აბესაძე** და საშუალო საფეხურის მოსწავლეები იყვნენ. ამ დღისადმი საგანგებოდ მოწყობილ გერმანული ენის კაბინეტში სემინარი ინტეგრირებული მეთოდით ჩატარდა. მასში მონაწილეობდნენ ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებლები. შერჩა მოსწავლეთა სამუშაო ჯგუფები, რომლებმაც მოიძიეს და დაამუშავეს მასალები ქართულ და გერმანულ ენებზე. XII კლასის მოსწავლეებმა: **ნინო გაბადაძემ, თეონა გიორგაძემ და ირინა კვირიკიანი** დაამზადეს კოლაჟი: „Vor meinen Augen tanzt die Freiheit“ – „ჩემს თვალწინ ცეკვავს თავისუფლება“. გეოგრაფიული და ისტორიული ტესტების კროსგორდების შედეგებსა და ეპოქის

შესაბამისი რუკების მოძიებაში ჩაერთნენ X და XI კლასის მოსწავლეები: **გვანცა და ირაკლი უკლებები, ნათია გიორგაძე, დავით აბესაძე, მეგლუდ ჭუმბურიძე**. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში მომხდარი ისტორიული მოვლენების – გერმანიის დაყოფის, „ცივი ომის“, „რკინის ფარდის“, ბერლინის კედლის აგების, გერმანიის გაერთიანების შესახებ მასალა წარმოადგინეს XII კლასის მოსწავლეებმა: **ნინო კაჭარავამ, კობა ბერაძემ, გრიგოლ ნიშნიანიძემ, დავით ბერეკაშვილმა**. უკვე რამდენიმე წელია, ჩვენი სკოლა ჩართულია სასკოლოთაშორისო თანამშრომლობაში. ამჟამადაც მოწვეული იყვნენ ახლომდებარე სკოლების – ცუცხვათის (დირექტორი – **ირინე ბერეკაშვილი**) და გელათის (დირექტორი – **ელისო მანკეშაძე**) საჯარო სკოლების მოსწავლეები. აღსანიშნავია, რომ ამ დღეს საგანგებოდ იყვნენ მოწვეული გერმანელი სტუმრებიც: **ანე პალმე**, თბილისის გიეტის ინსტიტუტის წარმომადგენელი დასავლეთ საქართველოში, **დანიელ შეფი, DAAD-ის (გერმანული აკადემიური გაცვლის სამსახური) ლექტორი**, რომელიც ამჟამად აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწეობს, **რამაზ სვანიძე**, ამავე უნივერსიტეტის გერმანული ენის კათედრის ლექტორი.

სემინარის ნაწილი დაეთმო გერმანულ-ქართული კულტურული ურთიერთობის გაშუქებას. XI-კლასელებმა (ხელმძღვანელი – **ნატო ბერეკაშვილი**), აჩვენეს ფილმი საქართველოს საპატიო მოქალაქის, **ჰერმან ვედდინგის** შესახებ, ვიდეომასალით გაშუქდა ბოლო ხანს ჩვენს სკოლაში გერმანელთა სტუმრობის ამსახველი მასალა, შესრულდა გერმანიისა და საქართველოს ეროვნული ჰიმნები, აჟღერდა ევრო-ჰიმნიც. გერმანელმა სტუმრებმა მოინონეს ჩატარებული ღონისძიება და მოსწავლეებს საჩუქრად გადასცეს გერმანულენოვანი წიგნები, ჟურნალები, სუვენირები. ქალბატონმა ანემ სურვილი გამოთქვა, კვლავ ენციოს სკოლას სამუშაო ვიზიტით და მეთოდური დახმარება გაუწიოს გერმანული ენის მასწავლებლებს. როგორც ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს, უცხო ენის კარგად დაუფლებით, ქართველი მოსწავლეები შეძლებენ საერთაშორისო სტანდარტების მქონე განათლების მიღებას. ასეთი ღონისძიებები და შეხვედრები კი უდიდეს მოტივაციას იწვევს უცხო ენის შესწავლისთვის.

ბიუჯეტი აბესაძე
ტყეხულის რაიონის კურსების
საჯარო სკოლის XII კლასის
ხელმძღვანელი

შირაქში ქარსასპის გაშენებაში უფროსკლასელი მოსწავლეების მონაწილეობა

ამ დღეებში ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელების წარმომადგენლებმა 200 ძირი ნეკერჩხლის და იფნის ნერგი მოიტანეს დედოფლისწყაროს პირველ, მეორე და სოფელ ჯაფარიძის საჯარო სკოლებში. ეს გარემოსდაცვითი ღონისძიება საჯარო სკოლების ეზოების განაშენიანებას ითვალისწინებდა და იმ პროექტის გაგრძელებაა, რომელიც ადგილობრივმა ხელისუფლებამ ქართულ-გერმანული პროექტის ფარგლებში, სკოლების მოსწავლეებისათვის დაგეგმა. პირველ ეტაპზე ბავშვებმა გლობალური დათბობის საკითხებზე სემინარი მოისმინეს და შირაქში ქარსაცავების გაშენებაშიც მიიღეს მონაწილეობა. ასევე, სკოლის ეზოებში დარგეს ხე-მცენარეები, რომელიც GTZ-ის წარმომადგენლებმა **დიტერ მიულერმა** და **გიორგი კოლბინმა** გამოუგზავნეს სართიჭალის საწარმოდან. ნერგების დარგვაში დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის უფროსკლასელ მოსწავლეებთან – **არსენ ყოჩიაშვილთან, ლევან ივანიძესთან, თამაზ ნიკოლაიშვილთან, ვალერი ალუღიშვილთან** და სხვებთან ერთად მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **თენგიზ გონაშვილი**, მისი მოადგილე **ნიკოლოზ ბენიაძე**, გამგებლის პირველი მოადგილე **გელა თეთრაული**, საკრებულოს და გამგეობის თანამშრომლები.

მარიკა კოპიაშვილი

შავი ზღვა – მითი და სინამდვილე

ფოთის მე-2 საჯარო სკოლაში (დირექტორის მ/შ **მზია ზახტაძე**) გამართული ღონისძიება შავი ზღვის დაცვისადმი მიძღვნილი კვირეულის ბოლო აკორდი იყო. კვირეულის პროგრამა მრავალფეროვანი გახლდათ: ეკოგაკვეთილების ჩატარება, ნორჩ მხატვართა და ნორჩ შემოქმედთა კონკურსის მოწყობა, სკოლის ეზო-გარემოსა და მიმდებარე ტერიტორიების მონესრიგება, შავი ზღვის სანაპირო ზოლის (პლაჟის) დასუფთავება, კონფერენციის ჩატარება და ა.შ. ამავე დროს, სკოლის ეკორეინჯერები და მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართული საქალაქო კვირეულით გათვალისწინებულ ღონისძიებებში.

კონფერენცია გაიხსნა კადრებით კინოფილმიდან „პირველი მერცხალი“, რაც სიმბოლური მინიშნება იყო იმაზე, რომ შავი ზღვიდან აიდგა საქართველოში ფეხი ფეხბურთმა, რომ ზღვა ადამიანისათვის ბევრი სიკეთის მომტანია და რომ დღეს მისი ეკოსისტემა დაცვა-სა და გაფრთხილებას საჭიროებს. მით უმეტეს საგანგაშოა, რომ სანაპირო ზოლი, რომელიც ფილმის დასაწყისშია გადაღებული, უკვე 15 წელია აღარ არსებობს – ზღვამ შთანთქა! ეს კონფერენცია პირველი მერცხალი იყო ჩვენი სიამავე – შავი ზღვის პრობლემებზე დასაფიქრებლად და საზრუნავად. კონფერენციაზე წაკითხულ იქნა მოხსენებები: „შავი ზღვა და მითოლოგია“ – **თეონა ყალიჩავა**, XI კლასი; „შავი ზღვის სახელწოდების ისტორია“ – **გურამ შურაია**, X კლასი; „შავი ზღვის ბიომრავალფეროვნება“ – **შალვა სარდალიშვილი**, IX კლასი;

„შავი ზღვის ეკოლოგია“ – **გიორგი გურგენაძე**, IX კლასი; „შავი ზღვის ეკოლოგიური პრობლემები და მისი გადაჭრის გზები“ – **ჯაბა გიორგაძე**, IX კლასი; „ნაპირდაცვა“ – **ანტონ ბერაია**, XI კლასი; „შავი ზღვის რეკრეაცია და ტურიზმი“ – **ნიკა ჩაჩავა**, IX კლასი; „ტურიზმის პრობლემები ჩემს ზღვისპირა ქალაქში“ – **ანა ბერაია**, X კლასი; „დროებით დაკარგული ედემი – აფხაზეთი“ – **აკაკი მალანია**, IX კლასი. ლაკონური და საქმიანი მოხსენებები სათანადო სლაიდებითა და საილუსტრაციო მასალით იყო გაფორმებული. კონფერენცია დაამთავრა შემოქმედით მოსწავლეების – **თამარ ყალიჩავასა** („ზღვა, რომელიც არც თუ ისე შორია...“) და **თამარ ჯანუაშვილის** მიერ („წერილი ბოთლიდან“) დაწერილმა და დიდი გრძნობით წაკითხულმა ჩანახატებმა, რომლებმაც

ერთხელ კიდევ დაგვაფიქრა ჩვენს მოუშუშებელ იარაზე – აფხაზეთზე. კონფერენციას ესწრებოდნენ: ფოთის ყველა საჯარო სკოლის ეკორეინჯერები, საბუნებისმეტყველო კათედრების გამგეები, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის, ფოთის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები, მშობლები და სხვა მოწვეული სტუმრები. კონფერენციის ბოლოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა **ფოთოლა ქაჯაიამ** დააჯილდოვა „შავი ზღვის დაცვის“ დღისადმი მიძღვნილ კვირეულში სხვადასხვა კონკურსებში გამარჯვებული მოსწავლეები, მათ შორის ჩვენი სკოლიდან: **ნინო ცხადაია** (X კლასი), **თამარ გურალია** (IX კლასი), **თამარ ჯანუაშვილი** (VIII კლასი), **შალვა სარდალიშვილი** (IX კლასი), ჩვენი სკოლის ეკორეინჯერთა გუნდი. „შავი ზღვის დაცვის“ კვირეულის მომზადებისა და წარმატებით ჩატარებისათვის, ასევე, დაჯილ-

დოვდნენ მე-2 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ **მზია ზახტაძე** და სკოლის ორგანიზატორი **ლიკა ცაგურია**. კონფერენციის მუშაობა შეაფასეს: ფოთის საკრებულოს წევრმა **დარეჯან ცხვიტარიამ**, ეკორეინჯერთა საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ **გიგა გვასალიამ**, სკოლის დირექტორმა **მზია ზახტაძემ**, კავკასიის რეგიონული გარემოს დაცვის ცენტრის ფოთის კოორდინატორმა **ლაშა ზარგინავამ**. მსგავსი ღონისძიებები ნამდვილად შეუწყობს ხელს შავი ზღვის, პალეოსტომის ტბისა თუ სხვა ობიექტების ეკოლოგიური პრობლემებით მოსწავლეთა დაინტერესებასა და მის გადაჭრაში საზოგადოების აქტიურ ჩაბმას.

ნაირა მალანია
დირექტორის პირველი მოადგილე



Instants de Stars – წამები პარსკვლავების სხოვრიბიდან



2009 წლის 1 დეკემბერს, თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალ „პრომეთეს“ ფარგლებში, კინოთეატრ „ამირანის“ ფოიეში, გაიხსნა ფრანგი ფოტოხელოვანის, **კატრინ ვინეს** ნამუშევრების გამოფენა, სახელწოდებით „წამები ვარსკვლავების ცხოვრებიდან“.

„კინოზე შეყვარებული, 1985 წლიდან მოყოლებული, კანის ფესტივალს ყოველწლიურად ვსტუმრობ კინოსამყაროს ყველაზე ცნობილი ვარსკვლავების, კინორეჟისორებისა და მსახიობების პორტრეტების გადასაღებად, იმისთვის, რომ დაეჭირო „რამდენიმე წამი ვარსკვლავების ცხოვრებიდან“. მათი გალიმბითა და პოზების დაჭერით გადატვირთულ დღის განრიგში, მე ვიჭერ „off“ პორტრეტებს, რომლებშიც გამოხედვა მიტოვებულია,

თავის დაჭერაც მოშვებული, სადაც კინოს ძალა ვლინდება მათი პირადი ცხოვრების ინტენსიური და ნამიერი მომენტებით.“ – ამბობს ფოტოხელოვანი.

მოგზაურობაზე შეყვარებული კატრინ ვინეს თავის მარშრუტებს სამყაროს დასალიერიდან იკონებს: ატიტლანის ტბის ვულკანური წყლებიდან ალამოგორდოს თეთრი დიუნებამდე, ტიტიკაკას ტბაზე მობინადრე უროსის ინდიელებიდან კოკოლენდის ჰიმბას ტომამდე. მისი „თანამებრძოლი“, განსაკუთრებულიად ერთგული და ფირით აღჭურვილი, პეიზაჟებს ალბეჭდავს და გამოხედვებს იჭერს.

კინოხელოვნებით გატაცებული, უკვე 20 წელია, ყოველწლიურად ჩადის კანის ფესტივალზე. ყოველგვარი მაგიური საშუალების გარეშე მი-

ემგზავრება კინოვარსკვლავებთან, მსახიობებსა და რეჟისორებთან შესახვედრად. მონადირეთა ექსპედიციის მსგავსად თავგადასავლების ძიებაში მუდამ ემოციებს ეძებს, ძალზედ მოკლე, ნამიერი, ზოგჯერ წარუმატებელი შეხვედრისას.

თბილისზე შეყვარებული ლიტერატურის მასწავლებელი კი სიტყვებით გადმოსცემს შეხვედრის განცდილ წამს. თითოეულ ფოტოს თანახვავს ისტორია, რომელსაც ის ილუმირით, ემოციითა და კინოს მოყვარულის ენით გვიამბობს. მისი დღიური სწორედ ამ მოპარული წამების ძიებას ასახავს, რომლებიც ხან ინტენსიური, ხანაც უმნიშვნელო, ხმაურიანი თუ ჩუმია. ეს არის ელვისებური შთაბეჭდილებები, რომლებსაც გვიზიარებს.

კატრინ ვინეს გამოფენა „წამები

ვარსკვლავების ცხოვრებიდან“, სხვადასხვა დროს, წარმოადგინა:

- მირამარის დარბაზში, კანის მე-60 ფესტივალის ფარგლებში, 2007 წლის 11 მაისიდან 3 ივნისამდე;
- დოვილში, საერთაშორისო ცენტრში, საფრანგეთის კინოთეატრების ეროვნული ფედერაციის ყრილობისათვის, 2007 წლის 1-4 ოქტომბერი;
- საგამოფენო სივრცეში „ესპას დ'არ“, შატო სენტ-როზლინში (ლე-სარ სიურ აღჟანი), 2008 წლის 18 აპრილიდან 1 ივნისამდე;
- პონტო კომპოში, მოკლემეტრაჟიანი ფილმის მე-10 ფესტივალისთვის, 2009 წლის 16-27 ოქტომბერი.

ყოველ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო თხუთმეტიდან ოცდაათამდე ფოტო, შერჩეული ადგილი-

სა და დამთავალიერების სპეციფიკურიობიდან გამომდინარე, ახსნილი ტექსტების თანხლებით.

ამჟამად კატრინ ვინეს აზიანებს ახალ გამოფენას – **Road stars Festival** – „ერთი წამის ვარსკვლავები“.

კინოთეატრ „ამირანის“ ფოიეში გამართული ექსპოზიზა 21 კინოვარსკვლავის ფოტოებს წარმოგიდგინებს – პედრო ალმოდოვარი, ემანუელ ბერი, მონიკა ბელუჩი, ლუკ ბესონი, ფრენსის ფორდ კოპოლა, ფეი და-ნაუეი, რიჩარდ გირი, ჟან-ლიუკ გოდარი, ჯიმ ჯარმუში, ემირ კუსტურიცა, კლოდ ლელუში, სამარა მახმალბაფი, ჟანა მორო, პოლ ნიუმანი, ჯეკ ნიკოლსონი, ფილიპ ნუარე, მორის პილა, აბდერაჰმან სისაკო, ქუენტინ ტარანტი-ნო, ანის ვარდა, ბრიუს უილისი.

გამოფენა 15 დეკემბრამდე გასტანს.

საორბი

ფუტსალში ასპარეზობა მომავალშიც გაგრძელდება

28 ნოემბერს, თბილისში, სტარტი აიღო ბავშვთა ტურნირმა ფუტსალში. მონაწილეობდნენ 7-9 წლის მოზარდები. ამ ასაკში „ოთხთა თასი“ დარბაზის ფეხბურთში პირველად ჩატარდება. ტრადიციულად შეჯიბრს სპორტკომპლექსი „ქარიშხალი“ მასპინძლობდა. 24-ე საჯარო სკოლამ ტურნირზე ორი გუნდით იასპარეზა. მათთან ერთად თაისისთვის იბრძოდნენ „ნორჩი დინამოელი – ვაკე“ და „ინტერი“. შეჯიბრი ჯგუფური სისტემით ჩატარდა.

მოკლედ მონაწილეთა შესახებ: 24-ელებს **მამუკა კიკვილაშვილი** თავაკაცობდა. მის გუნდში ითამაშა საქართველოს ფუტსალელთა ეროვნული ნაკრების მეორე მწვრთნელის, **ბესო არველიას** ვაჟმა **გიორგი არველიამ**, რომელიც მაღალი ტექნიკით გამოირჩევა. „ნორჩი დინამოელი – ვაკე“ ხელმძღვანელი კი **ვახტანგ ბაქანიძეა**, რომელსაც ბავშვთა ფეხბურთში დიდი გამოცდილება აქვს.

აქვე სიახლედ – თბილისში მყოფმა უცხოელმა ბავშვებმა „ინტერის“ სახელით ითამაშეს. გუნდს სამი პერსპექტიული ქართველი და შვედი ძეგბი: მაქსი და ოსკარი დაემატნენ (მწვრთნელი **ბექა კვიციანი**).



რიებდა მამუკა კიკვილაშვილის აღზრდილებს (24) შეტევებს. მატჩის მსვლელობის დროს ვაკელთა მწვრთნელმა ვახტანგ ბაქანიძემ რამდენიმე ცვლილება განახორციელა, რაც აისახა კოდეც ანგარიშში – 4:0 „ნორჩი-დინამოელი – ვაკე“ სძლია მეტოქეს.

კმაყოფილი ვარ ტურნირის ორგანიზებით. ჩვენთვის სათამაშო პრაქტიკა ბევრს ნიშნავს. ბავშვებიც კმაყოფილები არიან და იმედა, დღეს დაშვებულ შეცდომებს მომდევნო ტურებში გამოასწორებენ – განაცხადა 24-ელთა თავაკაცმა **მამუკა კიკვილაშვილმა**.

პირველი დღის შემდეგ, ბურთების უპირატესობით, „ინტერი“ ლიდერობს. მეორე ადგილზე „ნორჩი დინამოელი – ვაკე“.

თბილისში მცხოვრები უცხოელი ბავშვებისგან დაკომპლექტებულ „ინტერს“ და „ნორჩ დინამოელ – ვაკეს“ ბოლო ორ ტურში, მინიმუმ, სამ-სამი ქულა ესაჭიროებოდათ, რათა ფინალში გასულიყვნენ.

დინამოელებმა 24-ე საჯარო სკოლის მეორე გუნდს პირველივე წუთებიდან შტურმი მოუწყვეს. მამუკა კიკვილაშვილის შეგირდებმა მე-4 წუთამდე შეძლეს საკუთარი კარის დაცვა, მერე კი ვახტანგ ბაქანიძის აღზრდილებმა გოლების ფიგურვერი მოაწყვეს. ანგარიში 8:0 იმარჯვა „ნორჩმა დინამოელმა – ვაკემ“.

დაძაბულად წარიმართა „ინტერისა“ და 24-ელთა პირველი გუნდის პაექობა. პირველი ტაიმი უცხოელებმა მოიგეს 3:0. მეორე ნახევარში, მოედანზე სიტუაცია დაიძაბა და ანგარიში მინიმუმამდე შემცირდა – 3:2. გადამწყვეტი აღმოჩნდა დასკვნითი წუთწუთიანი მონაკვეთი, როდესაც შვედმა ძეგბმა – მაქსი და ოსკარმა კარგი კომბინაცია გაითამაშეს გერმანელ კირენთან ერთად. ამ უკანასკნელმა ბურთი ოსტატურად მიაწოდა იან ჰესლერს, რომელმაც ლამაზი გოლი გაიტანა მეტოქის კარში. მცირე ხანში კი ახალზელანდიელმა ჰანიმ იმარჯვა და პაპავას ლამაზი გოლი გაატანინა. „ინტერი“ მოდუნდა, მაგრამ 7:5 დაამარცხა 24-ელები.

ჯგუფის ბოლო შეხვედრა უკვე არაფერს ნიშნავდა, რადგან ბაქანიძის გუნდს და „ინტერს“ ფინალის საზღვრები უკვე მოპოვებული ჰქონდათ. შეხვედრა ლალი და კორექტული გამოდგა, დინამოელებმა 10:5 გაიმარჯვეს.

რაც შეეხება ფინალს, აქ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ თბილისში მცხოვრები უცხოელი ბავშვებისგან დაკომპლექტებული „ინტერი“ და „ნორჩი დინამოელი – ვაკე“.

შეხვედრა მართლაც დაძაბული გამოდგა. პირველმა ნახევარმა თანაბარ ორთაბრძოლაში ჩაიარა. მომენტები როგორც ერთ, ასევე მეორე გუნდს ჰქონდა, მაგრამ ორივე

კლუბის გოლიკები – დინამოელი ხეთაგური და ჰოლანდიელი ლუკასი – მონადეების სიმალეზე აღმოჩნდნენ. სწორედ მათი თამაშის ხარჯზე მეტოქეები შესვენებაზე უგოლოდ გავიდნენ.

მეორე ტაიმი შედარებით სანახაობრივი და უზგოლიანი აღმოჩნდა. ჯერ იყო და ვაკელებმა მონაწილემდგვის დაცვის ხაზში შექმნილი ხარვეზი გოლში გარდასახეს. ორი წუთის მერე კი ბაქანიძის შეგირდებს ორბურთიანი ჰანდიკაპი მიეცათ.

ყოველივე ამან „ინტერი“ გამოაცოცხლა და უცხოელებმა სამოდე სახიფათო მომენტი შექმნეს ხეთაგურის კართან, ერთ-ერთი გოლით დასრულდა. დასკვნითი ბოლო ორი წუთი ორმხრივი შეტევებით აღინიშნა. დღეს მოედანზე ძლიერი „ნორჩი დინამოელი – ვაკე“ გამოდგა და 3:2 დაამარცხა „ინტერი“.

საუკეთესო მეკარის პრიზი ჰოლანდიელ **ლუკას პუდიფოლტს** ხვდა წილად. ათი გატანილი გოლით ბომბარდირის ტიტული არავის დაუთმო დინამოელმა გოგლიძემ. უძლიერესი მცველის თიკუნი კი 24-ელთა გიორგი არველიასს ერგო.

ვახტანგ ბაქანიძის გუნდს გამარჯვებულის თასი საქართველოს ფუტსალის ასოციაციის პრეზიდენტმა **კახა დედარიანმა** გადასცა. „ჩვენ მომავალშიც ვგეგმავთ ბავშვთა ტურნირებს ფუტსალში“ – აღნიშნა მან.

„კარგი იქნება, თუ წელს სამობაო ტურნირს ჩავატარებთ, რაც ხელს შეუწყობს პატარებში დარბაზის ფეხბურთის პოპულარიზაციას. მზად ვართ, ვეთამაშოთ ნებისმიერ ბავშვთა გუნდს. უცხოელებს მოსწონთ საქართველო, ამდგვარი ღონისძიებები კი ბავშვთა შორის მეგობრობის საფუძველი შეიქმნება ვახდეს“ – განაცხადა „ინტერის“ მწვრთნელმა **ბექა კვიციანმა**.

III-IV ადგილები 24-ე საჯარო სკოლის გუნდებმა გაიყვეს. „ტურნირმა კარგად ჩაიარა და მომავალშიც ვაპირებთ ასპარეზობას ფუტსალში“ – დასძინა 24-ელთა მწვრთნელმა **მამუკა კიკვილაშვილმა**.

უახლოეს მომავალში „ინტერი“ გასვლით შეხვედრებს გეგმავს.

მათი ჟურნალი

ახალი განათლება
 მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტიტალაშვილის №3 ტელ.: 95-80-23, 890 958023, 855 411668, 855 178027.
 www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com, ganatleba@mail.ru
 რეგისტრაციის № 2/4-1609, ინფორმაციის ხელმოწერისთვის: 76096
 გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.
 რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უპრუნდებათ.

რედაქციის რეკვიზიტები:
 საქართველოს ბანკი
 ბ/კ 220101502,
 ს/კ 202058735,
 ა/ა 123631000